პროექტი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონი

,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ქონების მართვისა და განკარგვის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

შეტანილ იქნეს ცვლილება ,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ქონების მართვისა და განკარგვის შესახებ" აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე N68, 14/12/2010წ.) და კანონის პირველი მუხლის მე-2 პუნქტის ,,ე“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,ე) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში არსებულ სანერგე, საჩითილე და სასათბურე მეურნეობებში წარმოებული ადგილობრივი და ინტროდუცირებული ერთწლიანი და მრავალწლიანი სასოფლო-სამეურნეო და დეკორატიული კულტურების, სარგავი/სათესლე მასალის, ნაყოფისა და გადამუშავების შედეგად მიღებული პროდუქციის განკარგვაზე;“.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
მთავრობის თავმჯდომარე — თორნიკე რიჟვაძე

ბათუმი,
-------- ---------- 2021 წ.
N ---------

ვიზირებულია:

მთვარობის აპარატის იურიდიული
და ადამიანური რესურსების მართვის
დეპარტამენტის უფროსი
ოთარ დიასამიძე

განმარტებითი ბარათი
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტზე

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ქონების მართვისა და განკარგვის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:
ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ, 2011 წელს დაფუძნებულ იქნა არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი - აგროსერვის ცენტრი, რომლის ძირითადი მიზანი და ფუნქციაა სოფლის მეურნეობის დარგში საერთაშორისო გამოცდილებისა და მეცნიერული მიღწევების პრაქტიკაში დანერგვის ხელშეწყობა; თანამედროვე ტექნოლოგიური სიახლეებისა და ინოვაციების პრაქტიკული დემონსტრირებით ფერმერთა და აგრომეწარმეთა კვალიფიკაციის/ცნობიერების ამაღლების ხელშეწყობა და მათი საინფორმაციო–საკონსულტაციო მომსახურება; არსებული სასოფლო–სამეურნეო და დეკორატიული კულტურების ჯიშთგანახლებისათვის, ასევე პერსპექტიული და ალტერნატიული სასოფლო-სამეურნეო კულტურების სარგავი მასალის წარმოებისათვის საჭირო საკოლექციო, სადედე და სანერგე მეურნეობების შექმნა; სასოფლო სამეურნეო კულტურების სარგავი და სათესლე მასალის გავრცელების ხელშეწყობა და სხვა.

მიმდინარე ეტაპზე ა(ა)იპ ,,აგროსერვის ცენტრი“–ს სარგებლობაში უკვე არსებობს ქ. ბათუმში ჩაქვის ციტრუსოვანთა სანერგე მეურნეობა, ქობულეთის მუნიციპალიტეტში მდებარე ვაზისა და ხეხილის საცდელ-სადემონსტრაციო სანერგე მეურნეობა, ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფ. ალამბარში მდებარე მოქმედი სასათბურე მეურნეობა (აგროპარკი) და ასევე მაღალმთიან აჭარაში, შუახევის მუნიციპალიტეტში ახალდაბის ტერიტორიაზე ვაზის სადედე, საცდელ-სადემონსტრაციო მეურნეობა, სოფ. ქიძინიძეებში ხეხილის სადედე, საცდელ- სადემონსტრაციო ხეხილის მეურნეობა და ერთწლიანი კულტურების საჩითილე მეურნეობა.

ა(ა)იპ ,,აგროსერვის ცენტრის'' სასოფლო-სამეურნეო კულტურათა სადემონსტრაციო და სანერგე მეურნეობების ფართობი წარმოდგენილია 39,6 ჰექტარი ფართობზე, მათ შორის ქობულეთის მუნიციპალიტეტში გვარა-ხუცუბნის ვაზისა და ხეხილის მეურნეობის ფართობი შეადგენს 18,6 ჰექტარი, აქედან 1500 კვ.მ. ათვისებულია სასათბურე მეურნეობით, რომელიც ემსახურება სანერგე მეურნეობაში მრავალწლიანი სასოფლო-სამეურნეო ხეხილის ნერგის კონტეინერულ ანუ დახურულ ფესვთა სისტემით თანამედროვე მაღალი ტექნოლოგიით ნერგის წარმოებას. ჩაქვში ციტრუსოვანთა კულტურებით დაკავებულია 21 ჰექტარი. აქედან, სანერგე მეურნეობაში სასათბურე მეურნეობით ათვისებულია 2000 კვ.მ., რომელიც ემსახურება ადგილზე მეურნეობაში წარმოებული ნამყენი ნერგების გადაზამთრებას. ასევე, ქობულეთის მუნიციპალიტეტის

სოფ. ალამბარში არსებული 6 ჰექტარი ფართობი ათვისებულია სასათბურე მეურნეობით (აგროპარკი). ასევე, მაღალმთიან აჭარაში, შუახევის მუნიციპალიტეტში, ახალდაბის ტერიტორიაზე ვაზის სადედე, საცდელ - სადემონსტრაციო მეურნეობაში არსებული მეურნეობის ფართობი შეადგენს 12 324 კვ.მ., ხოლო შუახევის მუნიციპალიტეტის სოფ. ქიძინიძეებში არსებული ხეხილის მეურნეობის ფართობი შეადგენს 7777კვ.მ. საჩითილე მეურნეობის ფართობი კი შეადგენს 3128 კვ.მ. სასოფლო–სამეურნეო კულტურების ჯიშების გავრცელება ხელს შეუწყობს და მნიშვნელოვან დახმარებას აღმოუჩენს სოფლის მეურნეობაში დასაქმებულ ფერმერებს, აგრომეწარმეებსა და მთლიანად მოსახლეობას განახორციელონ თავიანთ სასოფლო–სამეურნეო მიწის ნაკვეთებზე არსებული სასოფლო–სამეურნეო კულტურების ჯიშთგანახლება და ახალი კულტურების დანერგვა.

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ქონების მართვისა და განკარგვის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში განხორციელებული ცვლილებების (2015 წ. 18 ივნისი, N138-უ.ს.გ.ს.) შესაბამისად, აღნიშნული კანონის მოქმედება არ ვრცელდება - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში არსებულ სანერგე მეურნეობებში წარმოებული ადგილობრივი და ინტროდუცირებული ერთწლიანი და მრავალწლიანი სასოფლო-სამეურნეო და დეკორატიული კულტურების, სარგავი/სათესლე მასალის, ნაყოფისა და გადამუშავების შედეგად მიღებული პროდუქციის განკარგვაზე და აღნიშნული საკითხი რეგულირდება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2015 წლის 4 აგვისტოს N14 დადგენილებით დამტკიცემული ,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში არსებული სანერგე მეურნეობაში წარმოებული ადგილობრივი და ინტროდუცირებული ერთწლიანი და მრავალწლიანი სასოფლო–სამეურნეო და დეკორატიული კულტურების, სარგავი/სათესლე მასალის, ნაყოფისა და გადამუშავების შედაგად მიღებული პროდუქციის საფასურის განსაზღვრის, ამ ქონების აღრიცხვის, შენახვის, შეფასებისა და განკარგვის წესით''. თუმცა იმის გათვალიწინებით, რომ თანამედროვე ტექნოლოგიური სიახლეებისა და ინოვაციების პრაქტიკული დემონსტრირების, პოპულარიზაციისა და გავრცელების მიზნით, გაფართოვდა აგროსერვის ცენტრის მეურნეობები და ამ დროისათვის მის ბაზაზე ფუნქციონირებს სანერგე, საჩითილე და სასათბურე მეურნეობები. მნიშვნელოვანია იქ წარმოებულ სარგავ/სათესლე მასალასა თუ პროდუქციაზე სრულად მოქმედებდეს ზემოაღნიშნული წესი, რათა ამ სპეციფიკური მასალისა თუ პროდუქციის განკარგვისას თავიდან იქნეს აცილებული ქონების განკარგვის კანონმდებლობით გათვალისწინებული არაპრაქტიკული ფორმები.

აღნიშნულიდან გამომდინარე, აუცილებელია ,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ქონების მართვისა და განკარგვის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში განხორციელდეს ცვლილება, რომლის მიხედვითაც აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში არსებულ სანერგე, საჩითილე და სასათბურე მეურნეობაში წარმოებული სარგავი/სათესლე მასალის, მიღებული ნაყოფისა და გადამუშავებული პროდუქციის განკარგვაზე არ გავრცელდება მოძრავი ქონების განკარგვის მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული პროცედურები, რაც ასევე განხორციელებული ცვლილებით დარეგულირდება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2015 წლის 4 აგვისტოს N14 დადგენილებით დამტკიცემული ,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში არსებული სანერგე მეურნეობაში წარმოებული ადგილობრივი და

ინტროდუცირებული ერთწლიანი და მრავალწლიანი სასოფლო–სამეურნეო და დეკორატიული კულტურების, სარგავი/სათესლე მასალის, ნაყოფისა და გადამუშავებისშედეგად მიღებული პროდუქციის საფასურის განსაზღვრის, ამ ქონების აღრიცხვის, შენახვის, შეფასებისა და განკარგვის წესით''. აღნიშნული ცვლილებები ა(ა)იპ ,,აგროსერვის ცენტრს" შეუქმნის პრაქტიკულ და ოპტიმალურ სამართლებრივ მექანიზმს წესდებით განსაზღვრული მიზნებისა და ამოცანების განხორციელებისათვის, რაც მნიშვნელოვანი წინაპირობაა აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში სოფლის მეურნეობის სისტემის განვითარების, აგრომეწარმეთა საქმიანობისათვის ხელშეწყობისა და მოსახლეობის ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი:

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ქონების მართვისა და განკარგვის შესახებ" აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში განხორციელებული ცვლილების (2015 წ. 18 ივნისი N138-უ.ს.გ.ს.) შესაბამისად, აღნიშნული კანონის მოქმედება არ ვრცელდება - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში არსებულ სანერგე მეურნეობებში წარმოებული ადგილობრივი და ინტროდუცირებული ერთწლიანი და მრავალწლიანი სასოფლო-სამეურნეო და დეკორატიული კულტურების, სარგავი/სათესლე მასალის, ნაყოფისა და გადამუშავების შედეგად მიღებული პროდუქციის განკარგვაზე და აღნიშნული საკითხი რეგულირდება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2015 წლის 4 აგვისტოს N14 დადგენილებით დამტკიცემული ,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში არსებული სანერგე მეურნეობაში წარმოებული ადგილობრივი და ინტროდუცირებული ერთწლიანი და მრავალწლიანი სასოფლო–სამეურნეო და დეკორატიული კულტურების, სარგავი/სათესლე მასალის, ნაყოფისა და გადამუშავების შედაგად მიღებული პროდუქციის საფასურის განსაზღვრის, ამ ქონების აღრიცხვის, შენახვის, შეფასებისა და განკარგვის წესით''. თუმცა იმის გათვალისწინებით, რომ თანამედროვე ტექნოლოგიური სიახლეებისა და ინოვაციების პრაქტიკული დემონსტრირების, პოპულარიზაციისა და გავრცელების მიზნით, გაფართოვდა აგროსერვის ცენტრის მეურნეობები და ამ დროისათვის მის ბაზაზე ფუნქციონირებს სანერგე, საჩითილე და სასათბურე მეურნეობები, მნიშვნელოვანია იქ წარმოებულ სარგავ/სათესლე მასალასა თუ პროდუქციაზე სრულად მოქმედებდეს ზემოაღნიშნული წესი, რათა ამ სპეციფიკური მასალისა თუ პროდუქციის განკარგვისას თავიდან იქნეს აცილებული ქონების განკარგვის კანონმდებლობით გათვალისწინებული არაპრაქტიკული ფორმები.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

წარმოდგენილი ცვლილება ა(ა)იპ ,,აგროსერვის ცენტრს" შეუქმნის პრაქტიკულ და ოპტიმალურ სამართლებრივ მექანიზმს წესდებით განსაზღვრული მიზნებისა და ამოცანების განხორციელებისათვის, რაც მნიშვნელოვანი წინაპირობაა აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში სოფლის მეურნეობის სისტემის განვითარების, აგრომეწარმეთა საქმიანობისათვის ხელშეწყობისა და მოსახლეობის ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებული აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს ხარჯების გამოყოფას აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან ან სხვა წყაროებიდან.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა საშემოსავლო ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება არ მოახდენს გავლენას ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე, თუმცა საკუთარი შემოსავლები გაეზრდება ა(ა)იპ - აგროსერვის ცენტრს, რაც მოხმარდება მისი მიზნების მიღწევას.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება არ მოახდენს გავლენას ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ახალი ფინანსური ვალდებულებები:

კანონპროექტის მიღება არ წარმოშობს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ახალ ფინანსურ ვალდებულებებს.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართ ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება:

კანონპროექტი არ იწვევს გაუმართლებელ ფინანსურ შედეგებს იმ პირთა მიმართ, რომელთაც ის ეხებათ (კანონპროექტი ა(ა)იპ ,,აგროსერვის ცენტრს“ შეუქმნის პრაქტიკულ და ოპტიმალურ სამართლებრივ მექანიზმს წესდებით განსაზღვრული მიზნებისა და ამოცანების განხორციელებისათვის, რაც მნიშვნელოვანი წინაპირობაა აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში სოფლის მეურნეობის სისტემის განვითარების, აგრომეწარმეთა საქმიანობისათვის ხელშეწყობისა და მოსახლეობის ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის.

ბ[1]) ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე კანონპროექტის ზეგავლენის შეფასება;

კანონპროექტის მიღება არ მოახდენს ზეგავლენას ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე.

გ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

გ.ა) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია (დაწესებულება), ექსპერტი, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

კანონპროექტის მომზადების პროცესში აქტიურად იყო ჩართული აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ დაფუძნებული ა(ა)იპ ,,აგროსერვის ცენტრი''.

გ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში;

ასეთი არ არსებობს.

დ) კანონპროექტის ავტორი:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტრო.

ე) კანონპროექტის ინიციატორი:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე.